ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 3723165001**
თარიღი:**14/06/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ 2023 წლის 14 ივნისს სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებული პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“- სთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

კომისიამ პროექტის განხილვის შედეგად გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების „HYNDAI SONATA”-ს (სახელმწიფო ნომრით VM 285 MM საწყისი ღირებულება - 14 753 ლარი; ნარჩენი ღირებულება - 13 369, 91 ლარი) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანია“-სთვის უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით იურიდიული პირის არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით მიიღო გადაწყვეტილება, ზემოთ აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება, სახელმწიფო ნომრით VM 285 MM „ოზურგეთის სატრანსპორტო კომპანიისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მიეცეს მერს თანხმობა“.

საკითხი გატანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი